უნისონი
სადაზღვევო კომპანია

# ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები
(ხელშეკრულება)

# УСЛОВИЯ СТРАХОВАНИЯ АВТОТРАНСПОРТА (ДОГОВОР)

დეპონირებული ხელშეკრულების #:

N220966448

დამტკიცების თარიღი:

29.07.2022 წელი

# ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები (ხელშეკრულება)

# УСЛОВИЯ СТРАХОВАНИЯ АВТОТРАНСПОРТА (ДОГОВОР)

## 1. საერთო პირობები

**1.1.** წინამდებარე ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები წარმოადგენს დამზღვევსა და მზღვეველს შორის გაფორმებულ დაზღვევის ხელშეკრულებას (შემდგომში "პირობები"). წინამდებარე პირობების დადების შესახებ გაიცემა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი - სადაზღვევო მოწმობა (პოლისი) და ავტოტრანსპორტის დაზღვევა განხორციელდება დამზღვევის განაცხადის, სადაზღვევო პოლისის, წინამდებარე პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

**1.2.** წინამდებარე პირობებისაგან განსხვავებული ნებისმიერი პირობა სავალდებულო წესით მითითებული უნდა იქნეს სადაზღვევო პოლისში.

**1.3.** დამზღვევის განაცხადი და სადაზღვევო პოლისი წინამდებარე პირობების განუყოფელი ნაწილია. სადაზღვევო პოლისისა და ამ პირობების დებულებებს შორის კოლიზიისას უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ დებულებებს. სადაზღვევო განაცხადში მითითებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია დამზღვევი, შესაბამისად თუ განაცხადში მითითებული ინფორმაცია არასწორი ან არაზუსტია ანაზღაურება არ გაიცემა.

**1.4.** 21 წლამდე ასაკის მძღოლებისათვის და/ან 1 წლამდე მართვის გამოცდილების მქონე მძღოლის შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება მხოლოდ 50%-ით (მათ შორის როდესაც დაუდგენელია ზარალის გამომწვევი მიზეზი), ხოლო იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილი მძღოლი არაა ბრალეული დამდგარ შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება სრულად. პრემიის ან მისი პირველი შენატანის გადახდამდე შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო დაფარვა არ ვრცელდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დაზღვეული

## 1. Общие условия

**1.1.** Настоящие условия страхования автотранспорта представляют собой договор страхования, заключенный между Страхователем и Страховщиком (далее – «Условия»). О заключении настоящих условий выдается соответствующий подтверждающий документ – страховое свидетельство (полис) и страхование автотранспортных средств осуществляется в соответствии с заявкой на страхование, страховым полисом, настоящими условиями и законодательством Грузии.

**1.2.** Любое условие, отличное от настоящих условий в обязательном порядке должны быть указано в страховом полисе.

**1.3.** Заявка Страхователя и страховой полис являются неотъемлемой частью настоящих условий. В случае противоречия между положениями страхового полиса и настоящими условиями преимущественную силу имеют положения, определенные страховым полисом. Страхователь несет ответственность за информацию, указанную в заявке на страхование, поэтому, если информация, указанная в заявке, неверна или неточна, возмещение не будет выдано.

**1.4.** Водителям моложе 21 года и/или водителям со стажем вождения менее 1 года возмещается только 50% убытка (в том числе, когда причина, вызвавшая ущерб, неизвестна), а в том случае, если уполномоченный водитель не является виновным в наступившем случае, убыток возмещается полностью. До выплаты премии или ее первого взноса случаи возмещению не подлежат. Страховое покрытие не распространяется на административные и иные штрафы и расходы за пребывание на штрафной стоянке, наложенные на собственника или/и водителя застрахованного транспортного

ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ან/და მძღოლისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმაზე და საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯებზე.

## 2. ტერმინთა განმარტება

**2.1. უფლებამოსილი მძღოლი** - სადაზღვევო პოლისში (განაცხადში) მითითებული, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვის უფლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და რომელი გაცემულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,

**2.2. საბაზრო ღირებულება** - ღირებულება, რომელიც ყალიბდება ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მსგავსი) ქონების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზე მოქმედების შედეგად და შესაბამის ბაზარზე დადებული გარიგების საფუძველზე; საბაზრო ღირებულება შეიძლება დადგინდეს საქართველოს ბაზარზე არსებული ვებ.გვერდებზე განთავსებული სარეალიზაციო ავტომანქანების ფასებით.

**2.3. პროპორციული დაზღვევა** - დაზღვევა, როდესაც მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს, იმ პროპორციით, რა პროპორციაც არსებობდა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის სადაზღვევო თანხასა და პოლისში მითითებული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას შორის და რომელზეც მხარეები თანხმდებიან წინამდებარე პირობების საფუძველზე;

**2.4. უპირობო ფრანშიზა** - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზარალის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს. მზღვეველი არ ანაზღაურებს ზარალს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზარალის სიდიდე მეტია ფრანშიზაზე, მზღვეველი იხდის სხვაობას, ზარალის სრულ ოდენობასა და ფრანშიზას შორის. ფრანშიზა აკლდება ზარალის ოდენობას პროპორციული პრინციპის გათვალისწინების შემდეგ. თუ პოლისში მითითებულია მხოლოდ სიტყვა "ფრანშიზა", ამ შემთხვევაში იგულისხმება უპირობო ფრანშიზა;

**2.5 პირობითი ფრანშიზა** - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზარალის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს. მზღვეველი არ ანაზღაურებს ზარალს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზარალი მეტია ფრანშიზაზე, საკუთარი

средства в связи с эксплуатацией застрахованного транспортного средства.

## 2. Определение  терминов

**2.1 Уполномоченный водитель** – указанное в страховом полисе (заявке) лицо, имеющее право управления застрахованным автотранспортным средством, имеющее водительское удостоверение соответствующей категории, выданное в соответствии с действующим законодательством Грузии.

**2.2. Рыночная стоимость** - стоимость, которая формируется на рынке в результате взаимодействия спроса и предложения на идентичное  (а при его отсутствии - похожее) имущество и на основании сделки, заключенной на соответствующем рынке; рыночную стоимость можно установить  по ценам на автомобили, выставленные на продажу на веб-страницах рынка Грузии.

**2.3. Пропорциональное страхование** - страхование, при котором Страховщик возмещает убыток в пропорции, существовавшей на момент наступления страхового слу66чая между страховой суммой и рыночной стоимостью автотранспортного средства, указанной в полисе, и о которой стороны договариваются  на основании настоящих условий.

**2.4. Безусловная франшиза** - часть убытка, которую Страховщик не возмещает при наступлении страхового случая. Страховщик не возмещает убыток, если его размер не превышает франшизу, а если размер убытка больше франшизы, Страховщик выплачивает разницу между полной суммой убытка и франшизой. Франшиза вычитается из суммы убытка с учетом принципа пропорциональности, если  в полисе указано только слово «франшиза», то в этом случае имеется в виду безусловная франшиза.

**2.5. Условная франшиза** - часть убытка, которую Страховщик не возмещает при наступлении страхового случая. Страховщик не возмещает убыток, если его размер не превышает франшизы, а если убыток больше франшизы, в пределах своей ответственности и с учетом принципа

პასუხისმგებლობის ფარგლებში და პროპორციული დაზღვევის პრინციპის გათვალისწინების შემდგომ, სრულად ანაზღაურებს ზარალის ოდენობას;

**2.6. სადაზღვევო თანხა (პასუხისმგებლობის ლიმიტი)** - სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე - მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი, რომელიც დამზღვევის მითითებით აისახება სადაზღევევო პოლისში:

**ნაწილი I: - სათვის: - ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევა** - ლიმიტი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისში მითითებული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი მოახდენს ანაზღაურების გაცემას სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ანაზღაურების მომენტში დაზღვეული ობიექტის საბაზრო ღირებულებისა. ამასთანავე, მხარეთა შეთანხმებით, სადაზღვევო თანხა შეიძლება იყოს საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები, რომლის შემთხვევაშიც და ზარალის ანაზღაურებისას გამოყენებულ იქნება პროპორციული დაზღვევის პრინციპი;
**ნაწილი II: - ს: - მე-3 პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა და ნაწილი III: - სათვის: - მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა** - მზღვეველსა და დამზღვევს შორის შეთანხმებული და პოლისში ასახული ლიმიტი.

**2.7. მიმდინარე სადაზღვევო ლიმიტი** - პოლისში განსაზღვრული სადაზღვევო თანხას გამოკლებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში უკვე ანაზღაურებული ზარალ(ებ)ის თანხა (ზარალის ანაზღაურების დროს სადაზღვევო თანხა მცირდება ანაზღაურებული თანხის ოდენობით).

**2.8. სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, ქონება ან მომსახურება, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევს/მოსარგებლეს წინამდებარე პირობების საფუძველზე; სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა კანონის საფუძველზე დადგენილი ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილ პირზე, რომელსაც გააჩნია სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ. ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გაცემული მართვის მოწმობის მქონე უფლებამოსილი მძღოლის მიერ დამდგარი შემთხვევისას წინამდებარე პირობების საფუძველზე;

**2.9. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** -

пропорционального страхования полностью возмещает сумму убытка.

**2.6. Страховая сумма (лимит ответственности)** - максимальный размер страхового возмещения - максимальный лимит ответственности Страховщика; что отражается в страховом полисе в соответствии с указаниями Страхователя:

**Для Части I: - страхование кузова автотранспорта** - лимит, который не должен превышать рыночную стоимость автомашины, указанную в полисе, в противном случае Страховщик произведет возмещение в пределах страховой суммы, но не более рыночной стоимости застрахованного объекта на момент выплаты возмещения. Кроме того, по соглашению сторон страховая сумма может быть меньше рыночной стоимости, в этом случае при возмещении убытков будет применен принцип пропорционального страхования.
**Для Части II: - страхование ответственности перед третьими лицами и для Части III: - страхование водителей и пассажиров** – лимит, согласованный между Страхователем и Страховщиком, и отраженный в полисе.

**2.7. Текущий страховой лимит** – из страховой суммы, определенной в полисе, вычитается уже возмещенная в течение страхового периода сумма убытка(ов) (при возмещении убытка страховая сумма уменьшается на размер возмещенной суммы).

**2.8. Страховое возмещение** - сумма, имущество или услуга, которая полагается Страхователю/пользователю от Страховщика на основании настоящих условий; страховое возмещение выдается имеющему страховой интерес к объекту страхования лицу, уполномоченному на получение возмещения, установленного на законном основании. Возмещение будет выдано на основании настоящих условий в случае, наступившем по вине уполномоченного водителя, имеющего водительское удостоверение, выданное в соответствии с законодательством Грузии.

**2.9. Заработанная страховая премия** - часть премии на определенную дату в течение страхового периода, пропорциональная отрезку времени, прошедшему с начала

სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**2.10. გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**2.11. აქსესუარი** - ავტომობილის ნაწილი, დეტალი რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ავტომობილის გამართულ მუშაობას, მათ შორის აუდიო და ტელე-ვიდეო აპარატურა, გართობის სხვა საშუალებები, ტელეფონები, რაციები და კომუნიკაციის სხვა სისტემები; ავტომობილის ვიზუალის გაუმჯობესებისთვის გამოყენებული საგნები (წებოვანი ფირი, მინების დაბურვის მასალები და სხვა).

**2.12. ცალკეული დეტალები** - დეკორატიული დეტალები (პანორამული ტენტი და ა.შ.)

**2.13. მესამე პირი** - დამზღვევის გარდა, სხვა ნებისმიერი იურიდიული და/ან ფიზიკური პირი

**2.14. მძღოლი/მგზავრი** - პირ(ებ)ი რომლებიც გადაადგილდებიან ამ პირობებითა და შესაბამისი პოლისით განსაზღვრული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებით

**2.15. სადაზღვევო შემთხვევა** - წინამდებარე პირობებით/პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკების გარეგანი (ფიზიკური) ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზიანი, რომელიც წარმოშობს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას და რომელიც დასტურდება მზღვეველის მიერ შედგენილი და მხარეთა მიერ ხელმოწერილი სადაზღვევო შემთხვევის აქტით;

**2.16. მცირე სადაზღვევო შემთხვევა** - წინამდებარე პირობებით/პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკების გარეგანი (ფიზიკური) ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზიანი სადაც არ ფიგურირებს და/ან არ ხდება მესამე პირის და/ან მისი ქონების ინდეტიფიკაცია, არის მცირე გარეგანი დაზიანება (გახაზვა, მინის გაბზარვა -ჩამტვრევა, საგნის დაცემა, ბორდიურზე შეჯახება, შეჯახება ხეზე და სხვადასხვა საგნებზე), ზიანით გამოწვეული სავარაუდო ზარალის ოდენობა არ აღემატება ასეთი დაფარვის ქვეშ, პოლისით გათვალისწინებულ ლიმიტს, თუ ასეთი დაფარვა გათვალისწინებულია შესაბამისი პოლისით.

страхового периода до такой даты.

**2.10. Незаработанная страховая премия** - часть премии на определенную дату в течение страхового периода, пропорциональная отрезку времени, оставшегося до истечения срока страхования.

**2.11. Аксессуар** - часть автомобиля, деталь, не имеющая прямой связи с исправной работой автомобиля, в том числе аудио- и теле-видеоаппаратура, другие средства развлечения, телефоны, рации и другие системы коммуникации; предметы, используемые для улучшения внешнего вида автомобиля (клейкая пленка, материалы для тонировки стекол и др.).

**2.12. Отдельные детали** - декоративные детали (панорамный тент и др.).

**2.13. Третье лицо** – любое юридическое и/или физическое лицо, кроме Страхователя.

**2.14. Водитель/ пассажир** - лицо (а), который(ые) перемещае(ю)тся на застрахованном транспортном средстве, определенном настоящими условиями и соответствующим полисом.

**2.15. Страховой случай** - ущерб, причиненный в результате внешнего (физического) воздействия страховых рисков, предусмотренных настоящими условиями/полисом, повлекший возникновение обязанности по выплате страхового возмещения и подтвержденный актом о страховом случае, составленным Страховщиком и подписаны сторонами.

**2.16. Мелкий страховой случай** - ущерб, вызванный внешним (физическим) воздействием страховых рисков, предусмотренных настоящими условиями/полисом, при котором третье лицо и/или его имущество не фигурирует и/или не идентифицировано, имеется небольшой внешний ущерб (царапина, трещина-разбитие стекла, падение предмета, наезд на бордюр, столкновение с деревом и различными предметами), размер предполагаемого убытка, причиненного повреждением, не превышает лимит,

**2.17. ავტო-ტრანსპორტის სრული განადგურება** - სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტო-ტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 70 ან მეტ პროცენტს შეადგენს ან დაზიანებულია ავტომობილის 70 ან მეტი პროცენტი, თუ სხვ რამ არ არის გათვალისწინებულია სადაზღვევო პოლისით. თუ ავტომანქანა დაზღვეულია საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, სრული განადგურებად ჩაითვლება თუ ავტომანქანა აღდგენას არ ექვემდებარება ან ავტო-ტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება ტოლია სადაზღვევო თანხის და რომელიც ამავდროულად მისი საბაზრო ღირებულების 70% და მეტს შეადგენს.

**2.18. ცვეთა** - გამოიყენება მხოლოდ სრული განადგურების შემთხვევაში და გულისხმობს ავტოტრანსპორტის ბუნებრივ გაუფასურებას, რომელიც ამ პირობების მიხედვით შეადგენს ავტოტრანსპორტის სადაზღვევო თანხის 1 %-ს თვეში. არასრული თვისათვის ცვეთის კოეფიციენტი გამოანგარიშდება იმგვარად, როგორც სრული თვისათვის თუ ასეთი გათვალისწინებულია პოლისით. ცვეთის დარიცხვა დაიწყება დაზღვევის პერიოდის დაწყების მომდევნო თვიდან.

**2.19. „დაზღვევის დოკუმენტები** - შემდეგი დოკუმენტების ერთობლიობა: დამზღვევის განაცხადი, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი და დამზღვევის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წინამდებარე პირობები და სადაზღვევო პოლისი.

**2.20. სადაზღვევო შემთხვევის აქტი** - დამზღვევის/დაზღვეულის და მზღვეველის მიერ პოლისის პირობების შესაბამისად მხარეთა ორმხრივად შეთანხმებული და ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა, მისი გაცემის ფორმა და წესი.

**2.21. ფასიანი ბენეფიტი** - დამატებითი არასადაზღვევო მომსახურება, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ფასში და არა ფასდაკლებაში მაგ: რეცხვა, საწვავი, არასადაზღვევო შემთხვევის დროს ევაკუატორის მომსახურება, ნასვამი მძღოლის მომსახურება, საბურავის გამოცვლა და ა.შ.

**2.22. დაზღვევის მოქმედება** - დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ პოლისით განსაზღვრულ ავტოტრანსპორტზე, სადაზღვევო რისკებზე, ტერიტორიაზე, ვადებზე, წინამდებარე

предусмотренный полисом по такому покрытию, если такие покрытие предусмотрено соответствующим полисом.

**2.17. Полное уничтожение автотранспортного средства** - транспортное средство считается уничтоженным (полное повреждение), если восстановительная стоимость автотранспортного средства составляет 70 и более процентов от его рыночной стоимости или повреждено 70 и более процентов транспортного средства, если иное не предусмотрено договором страхования, полисом. Если транспортное средство застраховано на сумму ниже рыночной стоимости, то полной гибелью будет считаться, если транспортное средство не подлежит восстановлению или восстановительная стоимость транспортного средства равна страховой сумме и при этом составляет 70% или больше его рыночной стоимости.

**2.18. Износ** – применяется только в случае полногоуничтожения и подразумевает естественное обесценивание автотранспортного средства, который согласно данным условиям составляет 1% от страховой суммы автотранспортного средства в месяц. Коэффицмент износа за неполный месяц расчитывается так же, как за полный месяц, если таковой предусмотрен полисом. Начисление за износ начинется с месяца, следующего за началом страхового периода.

**2.19. Страховые документы** - совокупность следующих документов: заявка Страхователя, запрошенная Страховщиком и представленная Страхователем документация, настоящие условия и страховой полис.

**2.20. Акт о страховом случае** - документ, двусторонне согласованный и подписанный сторонами, Страхователем/ застрахованным лицом и Страховщиком, в соответствии с условиями полиса, в котором определяются размер страхового возмещения, форма и порядок его выдачи.

**2.21. Денежный бенефит** - дополнительные услуги для нестраховых случаев, которые могут быть выражены в цене, а не в скидке, например: мойка, топливо, услуги

პირობებით ან/და პოლისით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით.

**2.23. ნაწილი II: - მესამე პირის წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობა** – პოლისითა და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი, რომელიც მიადგა უფლებამოსილი მძღოლის მიერ პოლისში მითითებული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და/ან ქონებას. მოცემული დაზღვევა არ არის დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის ქვეყანაში მოქმედი სავალდებულო დაზღვევის შემცვლელი. მზღვეველი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზიანზე, რომელიც აღემატება სავალდებულო დაზღვევიდან მისაღებ ანაზღაურებას, ასეთი დაზღვევის არსებობის შემთხვევაში; მესამე პირის მიმართ დამდგარი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ თანხობრივად.

**2.24. ნაწილი III: - მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა** – პოლისითა და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი, რომელიც მიადგა დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მძღოლისა და მგზავრ(ებ)ის პირის სიცოცხლესა და/ან ჯანმრთელობასა.

## 3. სადაზღვევო პრემია

**3.1.** პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

**3.2.** ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანის დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო მზღვეველი უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%, ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო პრემიისა).

**3.3.** დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი; ან გადახდილია, თუმცა არასრულად) მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი

эвакуатора при незастрахованных ДТП, обслуживание пьяного водителя, замена шин и т.п.

**2.22. Действие страхования** - страхование распространяется только на определенные полисом: транспортное средство, страховые риски, территорию, сроки, с учетом требований и исключений, установленных настоящими условиями и/или полисом и законодательством Грузии.

**2.23. Часть II: - Ответственность страховщика перед третьим лицом** – ущерб, причиненный в результате наступления страхового случая, определенного полисом и этими условиями, причиненный уполномоченным водителем при эксплуатации указанного в полисе автотранспортного средства жизни, здоровью и/или имуществу третьих лиц. Данное страхование не заменяет обязательную страховку, действующую в стране эксплуатации застрахованного транспортного средства. Страховщик несет ответственность только за ущерб, превышающий возмещение, полученное по обязательному страхованию, при наичии такого страхования; ущерб, причиненный третьему лицу, возмещается только деньгами.

**2.24. Часть III:** - Страхование водителя и пассажиров от несчастного случая – ущерб, причиненный жизни и/или здоровью водителя и пассажира (пассажиров) застрахованного транспортного средства в результате наступления страхового случая, определенного полисом и настоящими условиями.

## 3. Страховая премия

**3.1.** Страховщик свободен от своих обязательств до своевременной уплаты первой или одноразовой премии.

**3.2.** В связи с неуплатой по установленным условиям и в установленные сроки одноразового или очередного страхового взноса страховщик вправе наложить на страхователя неустойку в размере 0,1% от неуплаченной суммы задолженности, за каждый день просрочки, не более суммарной страховой премии, определеной полисом.

ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზრაურებას არ დაექვემდებარება.

3.4. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია როგორც დამზღვევის ასევე მზღვეველის ინიციატივით.
3.4.1. დამზღვევის ინიციატივით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას იგი ყველა შემთხვევაში ვალდებულია წერილობით მომართოს მზღვეველს, ზეპირად ან სატელეფონო შეტყობინებით გამოხატული სურვილი არ არის დაზღვევის გაუქმების საფუძველი.
3.4.2. ყველა შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევა თუ დამზღვევის/მოსარგებლის/უფლებამოსილი პირის მიერ რაიმე ფორმით მოხდება მზღვეველთან არასწორი ინფორმაციის მოწოდება, გაყალბება და მზღვეველის შეცდომაში შეყვანა/მცდელობა.
3.4.3. დაზღვევის შეწყვეტისას შეწყვეტამდე გამომუშავებული სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება და ამავდროულად:

a) თუ არ არის ანაზღაურებული ზიანი და ასევე დამზღვევს არ აქვს ნასარგებლები არანაირი ფასიანი ბენეფიტით, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს გადაუხადოს შეწყვეტის დღისთვის გამომუშავებულ პრემიას დამატებული გამოუმუშავებელი პრემიის 10% (მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სრული სადაზღვევო პრემიისა).

b) თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სადაზღვევო პერიოდში, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის გამო, მზღვეველის მხრიდან გაცემულია დამზღვევზე (მოსარგებლეზე) სადაზღვევო ანაზღაურება, მაშინ დამზღვევი ვალდებულია დაფაროს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული წლიური პრემია სრულად ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.3. В случае первого нарушения Страхователем правил уплаты премии, установленных настоящим Договором (премия и/или ее часть не уплачена вовремя или в установленном размере; либо уплачена, но не полностью), Страховщик освобождается от выполнения обязательств, предусмотренных договором. Страховщик вправе приостановить действие договора и не возмещать страховые случаи после 14 календарных дней с момента нарушения графика без какого-либо уведомления до полного исполнения Страхователем финансового обязательства. Договор страхования продлевается только после уплаты Страхователем премии. После погашения долга Страховщик более не будет рассматривать случаи, произошедшие в течение долгового периода, как страховые случаи, а услуги, произошедшие в этот период, не подлежат возмещению Страховщиком.

3.4. Досрочное прекращение договора возможно как по инициативе Страхователя, так и Страховщика.
3.4.1. По инициативе Страхователя при досрочном прекращении страхования во всех случаях он обязан обратиться к Страховщику в письменной форме, желание, выраженное в устном или телефонном уведомлении, не является основанием для отказа от страхования.
3.4.2. Во всех случаях Страховщик вправе в одностороннем порядке расторгнуть страховку, если Страхователь/Пользователь/уполномоченное лицо каким-либо образом предоставит Страховщику неточную информацию, сфальсифицирует ее и введет/попытается ввести Страховщика в заблуждение.
3.4.3. При прекращении страхования страховая премия, заработанная до прекращения, возврату не подлежит и, в то же время:
а) В случае отсутствия возмещенного убытка, а также получения Страхователем какого-либо ценного бенефита, Страхователь обязан уплатить Страховщику 10% от незаработанной премии, прибавленной к премии, полученной на день расторжения (но не более полной страховой премии, предусмотренной страховым полисом);
б) Если в период страхования, предшествующий расторжению договора, в

c) თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სადაზღვევო პერიოდში ზიანი ანაზღაურებული არ არის, მაგრამ დამზღვევს ნასარგებლები აქვს, დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული დამატებითი  ერთი ან რამდენიმე ფასიანი ბენეფიტებით, ასეთ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს გადაუხადოს გამომუშავებულ პრემიას დამატებული მთლიანი სადაზღვევო პრემიის 10% (მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სრული სადაზღვევო პრემიისა).

3.5. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის  დროს:
3.5.1. თუ სადაზღვევო ანაზღაურების თანხა აღემატება სადაზღვევო თანხის 20%-ს,  გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება პოლისით გათვალისწინებული წლიური პრემიის დარჩენილი ნაწილი, რომელიც დამზღვევს აქვს გადასახდელი მზღვეველისათვის.
3.5.2. თუ სადაზღვევო ანაზღაურების  თანხა არ აღემატება სადაზღვევო თანტის 20%-ს, სადაზღვევო შემთხვევის აქტის შედგენის თარიღისათვის პრემიის დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩაითვალება /დააკდება გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებაში.

## 4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

**4.1. დამზღვევი ვალდებულია:**
4.1.1. როგორც პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისათვის;
4.1.2. აცნობოს მზღვეველს ავტოტრანსპორტთან დაკავშირებით სხვა სადაზღვევო ორგანიზაციაში გაფორმებული ანალოგიური დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ;
4.1.3. წარუდგინოს მზღვეველს დაზღვევის გაფორმებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია; მიიღოს მიზანშეწონილი და გონივრული ზომები იმ მიზეზების თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ზიანი;
4.1.4. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ავტოტრანსპორტის: 1) ექსპლუატაციის, შენახვის პირობებისა და გამოყენების მიზნების შეცვლის შესახებ; 2) დაზღვევის განაცხადში ან საიდენტიფიკაციო მონაცემებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ; თან იქონიოს ავტოტრანსპორტის

связи с наступившим  страховым случаем Страховщиком выдано страховое возмещение Страхователю (Пользователю), тогда Страхователь обязан погасить годовую премию, определенную соответствующим полисом в полном объеме в течение 5 (пяти) рабочих дней после расторжения договора;
в) Если ущерб не возмещается в течение периода страхования до расторжения договора, но Страхователь получает дополнительную одну или несколько ценных бенефитов, предусмотренных страховым полисом, в таком случае Страхователь обязан уплатить Страховщику 10% от общей страховой премии, прибавленной  к заработанной премии (но не более полной страховой премии, предусмотренной страховым полисом).

3.5. Во время выдачи страхового возмещения Страховщиком:
3.5.1. Если размер страхового возмещения превышает 20% от страховой суммы, из подлежащего выплате страхового возмещения вычитается оставшаяся часть предусмотренной в полисе годовой премии, которую Страхователь должен уплатить Страховщику.
3.5.2. Если сумма страхового возмещения не превышает 20% от страховой суммы, задолженность (при ее наличии) по страховой премии на дату составления страхового акта учитывается/вычитается из подлежащего выдаче страхового возмещения.

## 4. Права и обязанности сторон

4.1. Страхователь обязан:
4.1.1. Как до получения полиса, так и в течение его срока действия сообщать Страховщику достоверную информацию, важную для определения вида и качества страхового риска;
4.1.2. Сообщить Страховщику об аналогичном договоре страхования, заключенном в другой страховой организации в отношении автотранспорта;
4.1.3. Предоставить Страховщику всю документацию и информацию необходимую для заключения договора страхования; принимать целесообразные  и разумные меры для предотвращения причин, которые могут причинить ущерб;
4.1.4. Незамедлительно информировать

სარეგისტრაციო მოწმობა, (რომელიც სავალდებულო წესით შემთხვევის დადგომისას უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან) და არ დატოვოს იგი ავტოტრანსპორტში. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს ავტოტრანსპორტის ქურდობის შედეგად დამდგარი ზიანი. გამონაკლისს წარმოადგენს ძარცვა/ყაჩაღობა;

4.1.5. შემთხვევის დადგომისას, მზღვეველთან შეთანხმებით, შეინარჩუნოს დაზიანებული/განადგურებული ავტოტრანსპორტის მდგომარეობა მზღვეველის მიერ მის დათვალიერებამდე და ფოტოგადაღებებამდე;

4.1.6. შემთხვევის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში (შსს, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური და სხვა), მზღვეველთან სატელეფონო შეტყობინებით - შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, მაშინ როდესაც დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია სატელეფონო შეტყობინების დატოვება, აღნიშნული დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით. ხოლო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით. **დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.**

4.1.7. თუ შემთხვევის შედეგად ზიანი მიადგება მესამე პირის ქონებას, სიცოცხლესა და/ან ჯანმრთელობას, და ასეთ დაფარვას პოლისი ითვალისწინებს, დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს ამ პირის მიერ მზღვეველთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წერილობითი განაცხადის სახით წარმოდგენა შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, **წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება მესამე პირისათვის ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.**

4.1.8. ზიანის დადგომის ფაქტზე მხოლოდ წერილობითი შეტყობინება არ ჩაითვლება

страховщика о связанных с автотранспортом: 1) изменении эксплуатации, условий хранения и целей использования; 2) о любых изменениях, внесенных в страховое заявление или идентификационные данные; иметь при себе свидетельство о регистрации транспортного средства (которое необходимо предъявить Страховщику в случае наступления тсрахового случая) и не оставлять его в автомобиле. В противном случае Страховщик оставляет за собой право не возмещать ущерб, причиненный кражей автомобиля. Исключение составляет грабеж/разбой;

4.1.5.В случае наступления страхового случая, по согласованию со Страховщиком поддерживать состояние поврежденного/уничтоженного автотранспортного средства до его осмотра и фотографирования Страховщиком;

4.1.6. После наступления случая незамедлитльно сообщить о факте случая в компетентные органы (МВД, Противопожарную службу и др.), телефонным сообщением Страховщику - не позднее 24 часов после наступления случая, а при невозможности оставить телевонное уведомление по состоянию здоровья Страхователя, это должно быть подтверждено уведомлением, выданным соответствующим медицинским учреждением. И не позднее 2 (двух) рабочих дней после наступления несчастного случая предоставить письменное заявление Страховщику о факте наступления ущерба, по форме, установленной Страховщиком. **В случае нарушения Страхователем данных условий, Страховщик оставляет за собой право не рассматривать заявление о возмещении ущерба, признать телефонное уведомление о наступлении ущерба несуществующим и, соответственно, отказать в выдаче страхового возмещения;**

4.1.7. Если в результате несчастного случая причинен вред имуществу, жизни и/или здоровью третьего лица, и такое покрытие предусмотрено в полисе, Страхователь обязан обеспечить подачу этим лицом Страховщику письменного заявления ос просьбой о возмещения в течение 2 (двух) рабочих дней после наступления случая, **В противном случае Страховщик оставляет за собой право не рассматривать претензию о возмещении убытка, признать телефонное уведомление о наступления ущерба третьму**

საკმარისად ზიანის დადგომის ფაქტის დაფიქსირებისათვის, თუ დამზღვევი (მისი წარმომადგენელი), ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში არ წარმოადგენს საქმის წარმართვისათვის აუცილებელ და წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ დოკუმენტებს, **მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე,** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა;

4.1.9. წარუდგინოს მზღვეველს ზიანის ოდენობისა და სხვა მონაცემების განსაზღვრისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტი და მასალა;

4.1.10. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სათანადო სახელმწიფო ორგანოების მოქმედების (გამოძახება დათვალიერების ჩასატარებლად, გამოძიება, გამოძახება სასამართლოში და სხვ.) თაობაზე;

4.1.11. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს მესამე პირისაგან ოფიციალური პრეტენზიის მიღების შესახებ;

4.1.12. არ აღიაროს საკუთარი პასუხისმგებლობა და არ გასცეს პირობა ზიანის კომპენსაციაზე მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.1.13. ხელი შეუწყოს მზღვეველს სუბროგაციის უფლების გამოყენებაში, გადასცეს მას სათანადო დოკუმენტაცია/ინფორმაცია;

4.1.14. წინამდებარე პირობებითა და პოლისით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას მზღვეველს წარუდგინოს:

ა) სადაზღვევო პოლისი, წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;

ბ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა (თუ არ არის წარდგენილი დაზღვევის გაფორმებისას, ხოლო ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის შემთხვევაში სავალდებულო წესით უნდა იყოს წარდგენილი). გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სარეგისტრაციო მოწმობის წარუდგენლობა, დამზღვევის ნების საწინააღმდეგოდ, გამოწვეულია ყაჩაღობის/ძარცვის ფაქტით;

გ) მძღოლის მართვის მოწმობა და მძღოლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა /პასპორტი ანალოგიურად უნდა იყოს წარდგენილი თუ იგი არ არის წარდგენილი დაზღვევის გაფორმებისას.

აღნიშნული დოკუმენტაციის ჩამონათვალი შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევებში

**лицу как несуществующего и, соответственно, отказа в выдаче страхового возмещения;**

4.1.8. Только письменное уведомление о наступлении ущерба не будет считаться достаточным для фиксирования факта наступления ущерба, если Страхователь (его представитель) в течение одного месяца после заполнения заявления о возникновении ущерба не представит документы, необходимые для ведения дела и определенные настоящим условиями. Страховщик оставляет за собой право признать полученное уведомление о наступлении ущерба несуществующим и соответственно отказать в выдаче страхового возмещения, за исключением случаев, когда соответствующим органом проводится расследование по факту наступления ущерба и Страхователь не может соблюсти срок, указанный в настоящем пункте;

4.1.9. Предоставить Страховщику все необходимые документы и материалы, необходимые для определения размера ущерба и других данных;

4.1.10. Незамедлительно уведомить Страховщика о действии соответствующих государственных органов (вызов для проведения осмотра, следствие, вызов в суд и др.);

4.1.11. Незамедлительно сообщать страховщику о получении официальной претензии от третьего лица;

4.1.12. Не признавать своей ответственности и не давать обещание о компенсации ущерба без письменного согласия Страховщика;

4.1.13. Содействовать Страховщику в использовании права суброгации, предоставлять ему соответствующую документацию/информацию;

4.1.14. При наступлении события, предусмотренного настоящими условиями и полисом, предоставить Страховщику:

а) Страховой полис, письменное заявление о наступлении ущерба;

б) Свидетельство о регистрации транспортного средства (если он не представлен при оформлении страховки, а в случае кражи, грабежа, разбоя, должен быть представлен в обязательном порядке). Исключением является случай, когда непредставление свидетельства о регистрации вопреки воле страховщика вызвано фактом разбоя/грабежа;

დაზუსტდეს მზღვეველის მიერ და წერილობით ეცნობოს დამზღვევს ამის შესახებ. მზღვეველის მიერ დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენა დამზღვევს ევალება წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ ვადებში, მას შემდეგ რაც მზღვეველი წერილობით აცნობებს დამზღვევს ასეთი დაზუსტების შესახებ.
**სადაზღვევო პოლისის/მოწმობის წარდგენამდე ზარალი განხილვას არ ექვემდებარება, მზღვეველმა მხოლოდ სადაზღვევო პოლისის/ მოწმობის წარდგენის შემდეგ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა. სადაზღვევო მოწმობის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში დამზღვევს შეუძლია მზღვეველს მოსთხოვოს ასლი. ამასთან ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად პოლისის დაკარგვის ფაქტი, არ უნდა მოდიოდეს შემთხვევის დადგომის მომენტთან თანხვედრაში.**
**4.1.15.** გარდა ქვეპუნქტ 4.1.14.-ში აღნიშნულისა, შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტ(ები)ი შსს ან სხვა სათანადო ორგანოებიდან, გადასცეს მზღვეველს, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია. ამასთანავე, დაზღვეული რისკების შედეგად დამდგარი შემთხვევის შესაბამისად, დამზღვევი ვალდებულია წარმოუდგინოს და გადასცეს მზღვეველს, ამ უკანასკნელის მიერ, დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით მოთხოვნილი, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ცნობები, დასკვნები და/ან სხვა შესაბამისი დოკუმენტები;
მესამე პირთა წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის ან უბედური შემთხვევის რისკის დადგომისას დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს წარუდგინოს ამ ქვეპუნქტის პირველ აბზაცში მითითებული დოკუმენტ(ებ)ი და მესამე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, მკურნალობის საფასურის და/ან გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტები;
**4.1.16.** თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ გატაცებული (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) ავტოტრანსპორტი ნაპოვნი იქნება, დამზღვევი ვალდებულია, გადასცეს იგი მზღვეველს საკუთრებაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დაუბრუნოს მზღვეველს მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება. დამზღვევის მიერ მზღვეველზე ავტოტრანსპორტი გადაიცემა ან მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება დაუბრუნდება ავტოტრანსპორტის პოვნისა და მისი დამზღვევისათვის დაბრუნებიდან

Водительское удостоверение и свидетельство, подтверждающее личность водителя/паспорт должны быть предъявлены таким же образом, если они не были предъявлены во время подписания страховки.
Перечень указанных документов может быть уточнен в отдельных случаях Страховщиком, о чем Страхователь уведомляется в письменной форме. Страхователь обязан предоставить уточненные Страховщиком документы в сроки, определнные настоящими условиями, после того, как Страховщик в письменной форме сообщит Страхователю о таких уточнениях.
**Ущерб не подлежит рассмотрению до предоставления страхового полиса/свидетельства, Страховщик исполняет свои обязанности только после предоставления страхового полиса/ свидетельства. В случае утери или уничтожения страхового полиса/ свидетельства Страхователь может запросить копию у Страховщика. При этом, во избежание любых сомнений, факт утери полиса не должен совпадать с моментом наступления случая;**
**4.1.15.** В дополнение к указанному в подпункте 4.1.14., Страховщику должны быть переданы документ(ы), относящиеся к случаю, из МВД или других соответствующих органов, в котором должна быть указана информация, предусмотренная законодательством Грузии. Кроме того, в соответствии со случаем, возникшим в результате застрахованных рисков, Страхователь обязан представить и передать Страховщику справки, заключения и/или другие соответствующие документы, выданные соответствующими компетентными органами, по запросу последний в связи с делом;
